

ნათება ჩოსტიაშვილი

სენიაქვის შემგროვებელი



გამომცემობა ინტერესი  
თბილისი

რედაქტორი  
ნინო სადლობელაშვილი  
დამკაბადონებელი  
ვიოლა ტულუში  
გარეკანის დიზაინერი  
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-476-01-3

© ნათია როსტიაშვილი, 2017.  
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2017.

ღურგელის ბიში, აჩავაცხვის მომო და მც	5
ამაღლას ზარი	35
სიუჟეტი	43
ზეორი ზეორს ამოსქანა	71
სანოქვის ჯიშჩოვავები	93
ძამნაშავე უდანაშავროა	117
ამბები ბაბუაშვილისთვის	131
ან ჩას ჩრიპაძ-ნეა ღურგელიდან	149
ჩემი საქმე წასეღია, მარას	169
აბრიშუმის ნია	197



ღურგელის ბიჟი,  
აჩაცაცხვის გოგო და მა



— ლავანდის სუნი მცემს, აპარეო. — ვეუბნები და გაფართოებული ნესტოებით ცაცხვის სურნელს ვისრუტავ.

ცაცხვის სურნელს ვისრუტავ და ვფიქრობ: ნეტავ როგორი რამეა ეგ ლავანდა, როგორი სუნი აქვს?

— ით, ლავანდი! — მიღიმის ლისიო. არ იმჩნევს, რომ აპარეოთი მივმართე. ყოველთვის მზადაა თამაშში ამყვეს. მისთვის სულ ერთია, აპარეოს დავუძახებ თუ ლისიოს, იმიტომ რომ სინამდვილეში არც ლისიო ჰქვია.

გადაბმულად, ორ სიტყვაზე მეტს არასდროს ამბობს. აქედან ერთ-ერთი ყოველთვის შორისდებულია. სხვა დროს მხოლოდ შორისდებულის თქმას სჯერდება ხოლმე. ახლა „ლავანდი“ იმიტომ დააყოლა, რომ დამაჯეროს, თითქოს დავაჯერე, რომ ცაცხვის სუნი ცაცხვის კი არაა, ლავანდისაა. არც მე ვიმჩნევ, რომ მივუხვდი. ასეთი თამაშია გოგოებისთვის. ჩვენ მოვიგონეთ.

ჩამუხლული ვარ და აპარეოსთვის საპნის ბუშტებს ვუშვებ. ზის აპარეო თავის ბორბლებიან სკამზე და ბუშტებს კი არა, მე მომჩერებია. ჩუქად ვართ. მოაქვს ნიავს, საიდანლაც, ცაცხვის სუნი, აპარეო-ლისიოსკენ ნაზად ერეეკა, მე კიდე – ფართხაფურთხით მიტენის ცხვირში.

\* \* \*

დედამ და მამამ დასასვენებლად აპარეოს სოფელში ჩამომიყვანეს. უფრო სწორად, დასასვენებლად რომ ვერსად წამიყვანეს, ამიტომ ჩამომიყვანეს აქ, ჩვენს ნათესავ ეთოსთან. ეთო რაღაცნაირია. დეიდათი რომ მიმართო, თითქოს არაა ეგეთი დიდი ქალი, მაგრამ თან საიმისოდაც დიდია, რომ ბავშვმა მარტო სახელი დაუძახოს. ეთოზე დიდი და დეიდაზე პატარაა. მე მაინც ეთოს ვეძახი, ეგრე უფრო უხარია.

ვიცი, რომ აპარეო, ამ სოფლის ყველაზე დიდი ხის ძირში, ყოველდღე მელოდება. აპარეომ არ იცის, რომ ყოველდღე, ეთოს პატარა სამზარეულოში, დაუღეჭავად ვყლაპავ საუზმეს, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს და სახლიდან ვიპარები. გორაკზე დიდი და მთაზე პატარა ამაღლებული ადგილი რომაა, იქითკენ გავრბივარ. მე მთას ვეძახი მაინც. ეგრე უფრო მომწონს. სანამ ამ მთას მივუახლოვდები, ისე ძალიან მივრბივარ, ლამისაა, გზაში გული ამოვახველო. უკვე მიახლოებულზე კიდე, ისე უცებ ვანელებ, პირველ ორ-სამ ნაბიჯზე წონასწორობის დაცვა მიჭირს.

იმ მთაზე დგას ჩვენი ხე. რისია, არ ვიცი, მაგრამ რისი არაა – ვიცი. ცაცხვის არაა. ამიტომაც, არაცაცხვი შევარქვი. ამ არაცაცხვის ძირში ცხოვრობს აპარეო. როცა კი მივსულვარ, იქ მხვდება. ამ თავის ბორბლებიან სკამზე გაუნდრევლად ზის და ცხოვრობს.

საერთოდ, ხეების ამოცნობა მიჭირს. ერთხელ, ამაში აპარეოსაც გამოვუტყდი.

– წარმოგიდგენია, აპარეო? ნაძვზეც კი არასდროს ვარ დარწმუნებული, რომ ნაძვია! გიკვირს? მე არა. იმი-

ტომ რომ... მოიცა, ამოსუნთქულზე ძნელი ასახსნელია ეგეთები.

ჩასუნთქულზე, რატომლაც, ყოველთვის უფრო და-ლაგებულად და მხატვრულად გამომდის ფიქრი, ვიდრე ამოსუნთქვის შემდეგ.

ჰაერი ჩავისუნთქე თუ არა, სიტყვებიც დალაგდა: „საქმე ისაა, აპარეო, რომ ნაძვს შეუძლია ისეთი უსინ-დისო იყოს, სანამ შენ ნაძვი გგონია, ადგეს, და სულ სხვა ვინმე გამოდგეს, მაგალითად – ფიჭვი. წარმო-გიდგენია?!“

ნაძვზე ნაფიქრის ხმამაღლა გამეორება არც მიც-დია. ამოსუნთქულზე მაგას რა გაიმეორებს...

– ეგრეა, აპარეო. – ხმამაღლა ამას ვამბობ. – ცაცხვი ერთადერთი ხეა, რომელსაც ვცნობ. ცაცხვი უღალატოა, არავისში აგერევა. მარტო შეხედვით კი არა – სუნითაც. თან – დამთმობი, დამთმობი, უპრე-ტენზიო – შენსავით. არასადროს სწყინს, სხვა სახელს თუ დავუძახებ, მაგალითად, ლავანდას.

\* \* \*

– შენ რა, მართლა ფიქრობ, რომ შეიძლება ადამიანი ხის ძირში ცხოვრობდეს?! – უკვირს დურგლის ბიჭს. – ეგ, ამ ხის ძირში კი არა, აი, იმ პატარა სახლში ცხოვრობს. დილაობით ამ ბორბლებიანი სკამით აღმართზე ამოა-გორებს ხოლმე მამამისი და ამ ხის ძირში ტოვებს. იმი-ტომ, რომ ამას თვითონ უყვარს ამ ხის ძირში ჯდომა.

ვერ დავიჯერე, რა ვიცი. ჯერ ერთი, არასდროს უნდა დაიჯერო ამბავი, რომლის მოსმენისასაც, მიყოლებით

ოთხი-ხუთი ცალი „ამ“ და „იმ“ შეგხვდება, მეორეც – ძლივს ერთი არაცაცხვის გოგოს გადავეყარე მთელ პლანეტაზე და დასანანი იქნებოდა, მასაც, დანარჩენივით, ჩვეულებრივ სახლში ეცხოვრა. ისე კი, დურგლის ბიჭმა ჩემზე კარგად უნდა იცოდეს სიმართლე, ამსოფლელია.

ამსოფლელია, მაგრამ ძალიან სულელი. მე ასე მგონია, რა ვიცი. ერთხელ ვუთხარი, აპარეოს მამაზე მომიყევი-მეთქი და გამხდარი კაციაო. გამხდარი კაციაო და მორჩა, გაჩუმდა, სულ ეს იყო! პირში რომ მივახალე, არაფრის მოყოლა, არაფერზე მსჯელობა და აზრის გამოთქმა შენ არ შეგიძლია-მეთქი, გაითხორა, როგორ თუ არ შემიძლიაო?!

– ჩემი აზრით... – გაბლენძილმა დაიწყო „მსჯელობა“, – მამამისს ამის სახლში წაყვანა უფრო ეყვარება, ვიდრე აქ მოყვანა. ისეთი გამხდარია ის საცოდავი – ცარიელი ძვალი და ტყავი. აღმართზე ძლივს ამორიხინებს ამ სკამს. არ მინახავს, მაგრამ ჩემი აზრით(!) ეგრეა. წაყვანისას კიდე რა უნდა, რა... დაღმართია. ღმმმ!.. ერთი მოგაზავ და ეგრევე მიგორავს.

გული მომენტურა. ამან კიდევ, კმაყოფილი სულელი-ვით გაიღრიჭა და ამაყად დაამატა:

- მამაჩემი კიდე, ხო ნახე – ხარივითაა. მამაშენი?
- მამაჩემიც – ხარივით. – რა ჯანდაბად ვიტყუები, არ ვიცი.

რამდენჯერაც წარმოვიდგენ, როგორ წვალებით მოაგორებს აპარეოს გამხდარი მამა სკამს აღმართზე, იმდენჯერ მუცეულში ისე ძალიან მომიჭერს ხოლმე რაღაც – ტკივილისგან მეტირება. მეტირება, მაგრამ ვიკავებ. ძალიან გამხდარს წარმოვიდგენ ხოლმე, აუცი-

ლებლად – მამაჩემზე ბევრად გამხდარს. მერე, ერთხელ, ამერია, მამაჩემი უფრო გამხდარი წარმოვიდგინე და ვე-ლარ შევიკავე, ამეტირა. მაგის მერე ჩემს თავს აპარეოს მამის წარმოდგენა ავუკრძალე.

დურგლის ბიჭს რა ენაღვლება, რა, მამამისი მართლა ხარივითაა. ერთ დღეს გავიცანი ეგენი, ორივე.

\* \* \*

ეთო იმ დილით ნამცხვარს აცხობდა და ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, თან სულ იცინოდა, რაც არ იყო სასა-ცილო – იმაზეც. ბოლოს თქვა, დღეს დურგალი უნდა მოვიდეს, საქათმეა შესაკეთებელიო. ჰოდა, მოვიდა დურგლის ბიჭის მამა და საქათმეს ერთი ცალი ფი-ცარი მიაჭედა. მაშინ ვნახე. ეთომ მადლობა, ლომონ. ძალიან ჩუმად უთხრა, მაგრამ მე მაინც გავიგონე. არა-და, ლომს ეთო უფრო ჰგავდა მაგ დღეს. წინა საღამოს ფაფარისფრად (თვითონ ამბობს – ფერფლისფრადო) შეიღება თმა და დილით აიფუა.

დურგლის ბიჭის მამამ კიდე – ბარტყოო. ფაფარის-ფერ ეთოს უთხრა ბარტყოო! იმის მერე ეთოს სულ სხვა თვალით ვათვალიერებ ხოლმე. ხან რას მივამსგა-ვსე, ხან – რას, მაგრამ ბარტყს – ვერც ერთხელ.

ხოდა, დურგლის ბიჭმა მოაკითხა იმ დღეს მამამისს და ეთომ თქვა:

– აი, ჩვენი ყოვლისშემძლე დურგლის სიმპათიური ბიჭიც მოვიდაა!..

დურგლის ბიჭი, რომელიც, მაშინ, პირადად მე ძალიან უშნო ბიჭად მომეჩვენა, რაღაცაზე ძალიან გაბრაზე-

ბული ჩანდა, მაგრამ „სიმპათიურის“ გაგონება მგონი ესიამოვნა, ეგრევე გაიბლინძა. არც ის გაცრეცილფერიანი კეპი უხდებოდა, არც ის მტვრისფერი კედები, არც არაფერი. ერთადერთი, რაც მართლა უხდებოდა და, როგორც ეთო იტყოდა, „მის ტანზე იყო გამოჭრილი“, იყო სიტყვა „გაიბლინძა“.

— არ გინდა, იაკოსთან ერთად გაისერნო? — ეთომ ჰკითხა.

ამან ჯერ დაუბლვირა ეთოს, მერე — კიო, თავი დაუქნია. დაუქნია თუ არა, ეგრევე ჩაქინდრა. ჩაქინდრა თუ არა, ცხვირზე გაისვ-გამოისვა თითი. ეგეთი ბიჭი იყო.

კარგი-მეთქი, გავისეირნოთ. ეთოს უაზრო სიცილით ყურების გამოჭედვას და ძირმიმწვარი ნამცხვრის ღეჭვას ისევ ამასთან სეირნობა მერჩივნა.

კარგა ხანს ისე ვისეირნეთ, ხმა არ ამოუღია. შენი სოფლის ისტორია მომიყევი-მეთქი, წავეხმარე. მხრები აიჩეჩა. შენს გვარზე რამე ლეგენდა თუ იცი-მეთქი, ახლა ეს ვცადე და არც ეს იცოდა.

— გასაგებია. ეთომ სასეირნოდ ენაგადაყლაპულ ბიჭთან გამომიშვა, — ჩავილაპარაკე და მაშინ ამოილო პირველად ხმა:

— ეგ მახინჯი ჩემთან მეორედ არ ახსენო!

და გვერდზე გადააფურთხა. კიდევ კარგი, მე რომ მივყვებოდი, იმ მხარეს არა.

— სულაც არაა მახინჯი! უბრალოდ ეგ ფერი არ მოუხდა თმაზე. ნახვამდის. — დავიცავი ეთო და მივბრუნდი, სულ სხვა მხარეს გავიქეცი. აღმართისკენ. გამომყვა ესეც უკან. იმ დიდ ხემდე ასე გაბუტულად ვირბინეთ. მაშინ ვნახე აპარეო პირველად.

აპარეომ რომ დურგლის ბიჭს ისეთი თვალებით შეხედა, როგორითაც დურგლის ბიჭი მე მიყურებდა – ყველაფერს მივხვდი.

\* \* \*

აპარეოსგან მარჯვენა დაღმართი ჩემი და დურგლის ბიჭის გზაა. მარცხენა – პატარა სახლისკენ მიდის. აპარეოს პირდაპირ მთელი სოფელი, სხვა სოფელი და მთელი სამყაროა ჩაწინიკებული, ოღონდ, აპარეოდან მაგათვენ გზა არ ჩადის. ოღონდ, ამ ჩაწინიკებული ქვეყნიერებიდან აპარეომდე გზა არ ამოდის. არც გზა, არც ბილიკი. აპარეო ცალკეა და ქვეყანა – ცალკე. ეს ორი კინკილა აღმართ-დაღმართიც ჰყოფნის აპარეოს: ჩვენი და მამამისის. ყველაზე უპრეტენზიო გოგოა, ვინც კი გამიცნია. ცაცხვივით.

აპარეოსთან პირველი შეხვედრის მერე, ჩვენს, მარჯვენა დაღმართზე რომ დავეშვით, რაღაცნაირად ჩამიმდიდა გული. აპარეოს გარდა ვერაფერზე ვფიქრობდი. იმის გაჩუმებულ ფეხებზე და ხელებზე. მაგ დღეს მითხრა დურგლის ბიჭმა, ეგ ხის ძირში კი არა, აი, იმ პატარა სახლში ცხოვრობს, იქითა დაღმართზე რომ დგასო. რა ჰქვია-მეთქი მაგ გოგოს? ეგ მაინც გეცო-დინება, სხვა არაფერი იცი, – წავკბინე.

დაიძაბა მაშინ დურგლის ბიჭი, ზუსტად მახსოვს – დაიძაბა. მშრალ ცხვირზე თითო ისე გაისვ-გამოისვა, თითქოს წვლინტს იწმენდდა. თავიდანვე შევატყვე, როცა იძაბებოდა, ეგრე შვებოდა ხოლმე. გავჩერდი და მივაჩერდი. მე კი მივაჩერდი, მაგრამ ეს არ მიყურებს.

ამან მგონი თავის ტოლი თანასოფლელის სახელიც კი არ იცის, რაის ლეგენდები და ისტორიები?!

დაიხარა, კენჭი აიღო. მგონი დროს იგებს, მეხსიერებასაც „ცხვირზე თითს უსვამს“, ძაბავს. აიღო კენჭი და ამ თავისი მიწადახეთქილი სოფლის რომელიდაც მტვრიანი ორლობისკენ ისეთი მონდომებით გაისროლა, ეგეც, უცებ ლივლივა ზედაპირზე ორ-სამჯერ არ ასხლეტილიყო და მისი გამსროლელის მისამართით აღფრთოვანების შეძახილი არ აღმომხდენოდა, რა!.. ამოვისუნთქე თუ არა, დავუცაცხანე:

– შენ რა, ეგეც არ იცი?! რა ჰქვია-მეთქი, შენ გეკითხები!

- არაფერი. – ამოიჩურჩულა.
- რაა?! ეგრე ჰქვია?
- არა... არაფერი სახელი არ ჰქვია.
- ნუ სულელობ!
- არ ვსულელობ. ეგრეა.

გაუშვა მეორე, მტვრიანი კენჭიც.

ერთი-ორი ნაბიჯი უხმოდ გადავდგით და მერე:

– ასეთი რომ დაიბადა, მშობლებს უფიქრიათ, სახელი რაში დასჭირდებაო და არაფერი დაურქმევიათ. – მითხრა და ხელზე ხელი მომკიდა.

- სისულელე რომ თქვი, ხვდები? – გავაშვებინე.
- უფრო სწორად, იცი, როგორ ყოფილა, იაკო?
- ისევ მომკიდა და ისევ გავაშვებინე. – რაღაც კი ჩაუწერეს საბუთებში, მაგრამ დაძახება ხომ არასოდეს უწევთ. ვთქვათ – ეი, იმანო, ვედრო მომიტანე, ან ეი, იმანო, დაღამდა, გეყოფა თამაში, სახლში შემოდი... ხოდა, არასდროს რომ არ ეძახიან, აღარც ახსოვთ რა ჩაუწერეს, რა მნიშვნელობა აქვს.

- როგორ თუ მნიშვნელობა არ აქვს?! – გადავირიე.
- აბა, ერთი, შენ არ გერქვას სახელი!
- მე რატომ? – იწყინა. – მე ნორმალური ვარ.

მესამე კენჭმა ისე გაიწუილა, ეგ კი აუცილებლად მიაღწევდა ლივლივა ზედაპირამდე, გადაიხტუნავებდა მთელ ზღვას და მეორე ნაპირზე, სილაში ამოგანგლული გზას კიდევ განაგრძობდა.

არ მოვეშვი, როგორ შეიძლება, შენს სოფლელს რა ჰქვია, არ იცოდე-მეთქი?!

– და საიდან უნდა ვიცოდე?! – აქეთ შემომიტია. – თუ ვინმე ახსენებს, სახელის მაგივრად ან „ის საწყალიო“, ამბობენ, ან „ის უბედურ დღეზე გაჩენილიონ“.

მუცელში თითქოს ვიღაცამ ხელი მომიჭირა და ნაწლავები და ყველაფერი ერთად მეტყინა უცებ. სანამ გადამივლიდა, უკვე ვიცოდი, რომ მე და ის უსახელო გოგო საუკეთესო მეგობრები გავხდებოდით.

საღამოს, ძილის წინ, ეთოს ვკითხე, აი იქ, დიდი ხის ძირში გოგო რომ ცხოვრობს, ბორბლებიან სკამზე, მაგას რა ჰქვია-მეთქი?

– უი, ნახე ის უბედური? – მიპასუხა და კედლისკენ გადაბრუნდა.

მაგასაც თუ პასუხი ჰქვია.

გავბრაზდი. ძალიან გავბრაზდი. მარტო ეთოზე და დურგლის ბიჭზე კი არა, მთელ ამ სოფელზე, ჩემს ქალაქზე, მთვარეზე, მტვრიან კენჭებზე... ყველაზე და ყველაფერზე გავბრაზდი. გაბრაზებულზე კიდე, ვერ ვიძინებ ხოლმე.

ვიწერი და ვფიქრობდი. როგორ შეიძლება ადამიანს სახელი არ ჰქონდეს? ან ჰქონდეს და არავის ახსოვდეს? მერე რა, თუ შენს ფეხებს არ შეუძლიათ შენს ნებაზე

გატარონ, ან ხელებს ისე ვერ შლი, როგორც მოგინდება და ლაპარაკიც თვალებით უფრო გამოგდის, ვიდრე პირით? ადამიანი, რასაც არ უნდა აკეთებდეს, ან ვერ აკეთებდეს, სულ ცოტა, სახელის ქონის უფლებას მაინც იმსახურებს.

როგორ გაპრაზდა დურგლის ბიჭი. სულელი. რაკი დადის, ჰგონია აპარეოზე უკეთესია. როგორ ავუხსნა, რომ სულელია? დურგლის ბიჭთან ლაპარაკს და ახსნას აზრი არ აქვს. ხვალ წერილს მივწერ, იქნებ წაკითხული უფრო შეუშვას თავში.

\* \* \*

გავიღვიძე თუ არა, ფურცელზე დაეწერე: „აბა, და-ფიქრდი, დურგლის ბიჭო, როცა დადიხარ, განა იმაზე უკეთესი დურგლის ბიჭი ხდები, ვიდრე ჯდომისას ხარ? არა, ხომ? მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხომ? ხოდა ეგაა. სხვებზეც ეგრეა, დურგლის ბიჭო! ჯდომა-დგომაზე არაა ვინ როგორია. პასუხი მოიწერე, თუ გამოგივარამე. წერილებზე ვგიშდები. იაკო“.

საუზმის მერე, ჩუმად ჩამოვარიფე ეთოს ეზოს ყვავილები. გარეთ რომ გავვარდი, რა თქმა უნდა, იქ დამხვდა დურგლის ბიჭი. მელოდებოდა და იღრიჭებოდა, თვითონ რომ იცის, ეგრე, სულელურად. წერილი ჯიბეში ჩავუჩურთე. უკან არ გამომყვე-მეთქი, გავაფრთხილე და გავიქეცი აპარეოსთან.

იმის ბორბლებიანი სკამის გვერდით, ცხვირსახო-ცი გავშალე და ჩავჯექი, ფეხები კაბის ქვეშ შევმალე და ეთოს ყვავილებისგან გვირგვინის დაწვნა დავიწყე.